შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის საგამოცდო პროცესის ორგანიზების წესი

კოდი: EWU_0007
დამტკიცებულია: შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ
დამტკიცების თარიღი: 11 თებერვალი 2025
გადაწყვეტილების/ბრძანების ნომერი: N 01-12
ცვლილება შესულია:
შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2025 წლის 23 დეკემბრის N01 - 176 ბრძანებით

სარჩევი

მუხლი 1. რეგულირების სფერო 2

მუხლი 2. წესის შემუშავების მიზანი 2

მუხლი 3. საგამოცდო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული 2

მუხლი 4. საგამოცდო შეფასების ფორმები 3

მუხლი 5. წერითი გამოცდები 3

მუხლი 6. კომბინიებული გამოცდა 3

მუხლი 7. პრაქტიკული გამოცდები და ლაბორატორიული შეფასებები 4

მუხლი 8. გამოცდაში მონაწილეობის უფლებამოსილება 4

მუხლი 9. გამოცდების განრიგი 4

მუხლი 10. საგამოცდო სივრცეების განაწილება 5

მუხლი 11. ზედამხედველობის პროცედურები 5

მუხლი 12. სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ადაპტაციის უზრუნველყოფა 6

მუხლი 13. საგამოცდო საკითხების წარმოდგენა 6

მუხლი 14. საგამოცდო ნაშრომის გასწორება 6

მუხლი15. საგამოცდო ნაშრომის გაცნობა და გასაჩივრება 6

მუხლი 16. სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში შეფასებების აღრიცხვა 7

მუხლი 17. სტუდენტის ვალდებულებები საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას 7

მუხლი 18. აკრძალული ნივთები და ქმედებები 8

მუხლი 19. გამოცდიდან მოხსნისა და ნაშრომის გასწორებაზე უარის თქმის საფუძვლები 8

მუხლი 20. ელექტრონული სწავლების ფორმატში გამოცდების ადმინისტრირება 9

მუხლი 21. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) 10

მუხლი 22. დასკვნითი დებულებები 11

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საგამოცდო პროცესის ორგანიზების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს უნივერსიტეტში საგამოცდო პროცესის ორგანიზების, ჩატარებისა და შეფასების სამართლებრივ, აკადემიურ და ადმინისტრაციულ ჩარჩოს. იგი არეგულირებს საგამოცდო პროცესში მონაწილე პირების უფლებებსა და ვალდებულებებს, აგრეთვე საგამოცდო პროცესის გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. წესი ვრცელდება უნივერსიტეტის ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებზე, ასევე, აკადემიურ/მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალზე, საგამოცდო პროცესში ჩართულ სხვა პირებზე და სავალდებულოა შესასრულებლად.
3. წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულებისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებისა საფუძველზე.

მუხლი 2. წესის შემუშავების მიზანი

1. წინამდებარე წესის შემუშავების მიზანია:

   ა) უნივერსიტეტში საგამოცდო პროცესის ორგანიზების ერთიანი, გამჭვირვალე და სამართლებრივად მოწესრიგებული სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ცოდნისა და აკადემიური მიღწევების ობიექტურ, სამართლიან და არადისკრიმინაციულ შეფასებას;

   ბ) საგამოცდო პროცესში ჩართული სუბიექტების უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრა, შეფასების კრიტერიუმების სტანდარტიზაცია, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უზრუნველყოფა, აგრეთვე საგამოცდო პროცესის დაგეგმვის, ჩატარებისა და შედეგების ადმინისტრირების ეფექტიან მექანიზმების დადგენა.

მუხლი 3. საგამოცდო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული

1. უნივერსიტეტში საგამოცდო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელია საგამოცდო სამსახური (შემდგომში - სამსახური), რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

   ა) უნივერსიტეტში გამოცდების ორგანიზებასა და ელექტრონული საგამოცდო პლატფორმის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობას;

   ბ) გამოცდების განრიგის ფორმირებასა და დამტკიცებული გრაფიკის ადმინისტრირებას;

   გ) სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის გამოცდებთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციის დროულ და სრულ მიწოდებას;

   დ) საგამოცდო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს და დადგენილი წესების დაცვაზე კონტროლს;

   ე) საგამოცდო ნაშრომების ლექტორებისთვის გადაცემასა და შესწორებული ნაშრომების მიღებასა და ადმინისტრირებას;

   ვ) სტუდენტებისთვის შესწორებული ნაშრომებისა და შეფასებების გაცნობის უზრუნველყოფას;

   ზ) საჭიროების შემთხვევაში, აპელაციის პროცესის ორგანიზებასა და ადმინისტრირებას;

თ) საგამოცდო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე რეაგირებას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სამსახურის ექვემდებარება ვიცე-პრეზიდენტს ადმინისტრაციული და ფინანსური მიმართულებით და ანგარიშვალდებულია მის წინაშე;
3. სამსახურსს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.

მუხლი 4. საგამოცდო შეფასების ფორმები

1. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შეიძლება ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:
   ა) წერითი გამოცდები;
   ბ) კომბინირებული გამოცდები;
   გ) პრაქტიკული გამოცდები და ლაბორატორიული შეფასებები;
2. უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ფორმატში სწავლების პროცესისა და დაგეგმილი სილაბუსით მიმდინარე შეფასებების განხორციელებისათვის დანერგილია ელექტრონული სწავლების ლიცენზირებული პროგრამა ,,Microsoft Teams"-ის გაძიერებული პლატფორმა, რომელიც იძლევა საშუალებას შეუფერხებლად განხორციელდეს მიმდინარე შეფასებები, წარიმართოს ზეპირი და წერითი ფორმით სწავლის შედეგების მიღწევის სრული შესაძლებლობების უზრუნველყოფით.
3. სტუდენტები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი გამოცდის ტიპის, დროის შეზღუდვების და დაშვებული მასალების შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას გამოცდის დროს

მუხლი 5. წერითი გამოცდები

1. წერითი გამოცდა წარმოადგენს საგამოცდო შეფასების ფორმას, რომლის ფარგლებშიც სტუდენტის ცოდნა, ანალიზის უნარი და სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება წერითი დავალებების შესრულების გზით.
2. წერითი გამოცდები შეიძლება ჩატარდეს შემდეგი ფორმებით:
   ა) ტესტური დავალებები (ერთპასუხიანი ან მრავალპასუხიანი);
   ბ) ღია ტიპის კითხვები;
   გ) ამოცანები, ქეისები ან სიტუაციური დავალებები;
   დ) ესე, რეფერატი ან სხვა ანალიტიკური ნაშრომი;
   ე) კომბინირებული ფორმა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ტიპის წერით დავალებებს.
3. წერითი გამოცდების ფორმატი განისაზღვრება კურსის/საგნის ხელმძღვანელის მიერ.
4. წერითი გამოცდა ტარდება უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით, აუდიტორიაში ან ელექტრონული საგამოცდო პლატფორმის გამოყენებით, დადგენილი დროის ფარგლებში და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

მუხლი 6. კომბინიებული გამოცდა

1. კომბინირებული გამოცდა წარმოადგენს შეფასების ფორმას, რომელიც აერთიანებს წერითი და ზეპირი შეფასების ელემენტებს და მიზნად ისახავს სტუდენტის ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და ანალიტიკური კომპეტენციების სრულყოფილ და მრავალმხრივ შეფასებას.

2. კომბინირებული გამოცდა ტარდება სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად და შეიძლება მოიცავდეს წერით დავალებებს, ტესტურ კითხვებს, ზეპირ გამოკითხვას, პრაქტიკულ ამოცანებს ან სხვა შეფასების კომპონენტებს.
3. კომბინირებული გამოცდის ჩატარების წესი, კომპონენტების წონები და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 7. პრაქტიკული გამოცდები და ლაბორატორიული შეფასებები

1. პრაქტიკული გამოცდები და ლაბორატორიული შეფასებები წარმოადგენს შეფასების ფორმას, რომლის მიზანია სტუდენტის პრაქტიკული უნარების, პროფესიული კომპეტენციებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის შეფასება.
2. პრაქტიკული გამოცდა შეიძლება მოიცავდეს კონკრეტული პრაქტიკული დავალებების შესრულებას, ლაბორატორიულ სამუშაოებს, ექსპერიმენტებს, სიმულაციებს ან პროექტებს შესაბამისი ზედამხედველობის ქვეშ, რომელსაც უზრუნველყოფს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი პირი.
3. პრაქტიკული გამოცდები და ლაბორატორიული შეფასებები შეიძლება ჩატარდეს სტრუქტურირებული შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: OSCE, DOPS, Mini-CEX, CBD და სხვა ანალოგიური შეფასების ინსტრუმენტები.
4. პრაქტიკული გამოცდებისა და ლაბორატორიული შეფასებების ჩატარების წესი, შეფასების კრიტერიუმები და ქულათა განაწილება განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 8. გამოცდაში მონაწილეობის უფლებამოსილება

1. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის სასწავლო კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.
2. შუალედურ, დასკვნით ან დამატებით გამოცდაზე მონაწილეობის მიზნით, სტუდენტი ვალდებულია გამოცდაზე რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციისთვის წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი ფოტოსურათიანი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა (ID ბარათი)/პასპორტი/მართვის მოწმობა/სტუდენტის სარეგისტრაციო ბარათი ან სხვა შესაბამისი დოკუმენტი).
3. დასკვნით გამოცდაში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს რომელმაც დააგროვა შუალედური შეფასების 50% და არ უფიქსირდება მიმდინარე სემესტრში ფინანსური დავალიანება.
4. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
5. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

მუხლი 9. გამოცდების განრიგი

1. გამოცდების განრიგის ფორმირებას, სკოლებთან კონსულტაციების შედეგად, უზრუნველყოფს საგამოცდო სამსახური.

2. შუალედური/დასკვნითი/დამატებითი გამოცდების განრიგი უნდა გამოქვეყნდეს საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს ორი კვირისა და უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.
3. მედიცინის სკოლაში შუალედური/დასკვნითი/დამატებითი გამოცდები ტარდება მთელი სემესტრის განმავლობაში საგნების კურაციული სწავლების დასრულებისთანავე.

მუხლი 10. საგამოცდო სივრცეების განაწილება

1. საგანმოცდო ოთახების რაოდენობა განისაზღვრება გამოცდებზე რეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობაზე დაყრდნობით, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანობა და სათანადო ზედამხედველობა.
2. კომბინირებული გამოცდების შემთხვევაში, სტუდენტს წინასწარ ეცნობება თითოეული, ზეპირი და წერითი კომპონენტების საგამოცდო ადგილი და დრო.

მუხლი 11. ზედამხედველობის პროცედურები

1. თითოეულ საგამოცდო სესიას ზედამხედველობას უწევს საგამოცდო სამსახურის თანაშრომელი, დამკვირვებელი.
2. დამკვირვებელი ვალდებულია გამოცდის მსვლელობისას დაიცვას შესაბამისი წესები და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული შემდეგი მოვალეობები:

   ა) დამკვირვებელი ვალდებულია, გამოცდის ჩატარების ადგილას გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ ნახევარი საათით ადრე;

   ბ) გამოცდის დაწყების წინ დამკვირევებელმა მკაფიო ინსტრქუციები უნდა მისცეს სტუდენტებს წესების, მათი უფლება-მოვალეობების, გამოცდაზე დასაშვები ნივთებისა და გამოცდისათვის განსაზღვრულ დროსთან დაკავშირებით;

   გ) დამკვირვებელმა სტუდენტთა თვალწინ უნდა გახსნას კონვერტი და სექტორის უწყისის მიხედვით დაარიგოს საგამოცდო ბილეთები და ფურცლები. ამის შემდეგ იწყება საგამოცდო დროის ათვლა;

   დ) დამკვირვებელი ვალდებულია, დააკვირდეს გამოცდის მიმდინარეობას მისთვის განსაზღვრულ სექტორში. მკაცრად აკონტროლოს სტუდენტების მიერ უფლებამოვალეობების დაცვა. მათი დარღვევის შემთხვევაში მისცეს გაფრთხილება სტუდენტს, ხოლო განმეორებითი გაფრთხილებისას, ასევე საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთით სარგებლობის შემთხვევაში მოხსნას იგი გამოცდიდან, ჩამოართვას სტუდენტს საგამოცდო ბილეთი და საგამოცდო ფურცლები. საგამოცდო ფურცელზე გააკეთოს წარწერა – ,,მოხსნილია გამოცდიდან" მიზეზის მითითებით, დააფიქსიროს სტუდენტის გამოცდიდან მოხსნა საგამოცდო ნაშრომის მიღება-ჩაბარების უწყისშიც და მოაწეროს ხელი;

   ე) დამკვირვებელს ეკრძალება მისთვის განსაზღვრული სექტორის დატოვება;

   ვ)დამკვირვებელი ვალდებულია, გასცეს პასუხი სტუდენტის მიერ დასმულ პროცედურულ და ტექნიკურ შეკითხვებს ან/და მიმართოს სამსახურის სხვა თანამშრომელს დახმარებისთვის;

   ზ) დამკვირებელს საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე პასუხის გაცემა ეკრძალება;

   თ) საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე დამკვირვებელმა უნდა შეატყობინოს სტუდენტებს ამის შესახებ;

   ი) დამკვირვებელმა ყველა ნაწერის ჩაბარების შემდეგ უნდა დააფიქსიროს საკუთარი ხელმოწერა საგამოცდო ნაშრომის ბოლოს და მიღება-ჩაბარების ჟურნალში;

კ) გამოცდის პროცესში წარმოქმნილ ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში, რომელიც იწვევს საგამოცდო პროცესის შეფერხებას, დამკვირვებელმა უნდა მიმართოს საგამოცდო სამსახურს;

3. წინამდებარე წესების დარღვევის შემთხვევაში დადგება დამკვირვებლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი.

მუხლი 12. სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ადაპტაციის უზრუნველყოფა

1. სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტმა უნდა მიმართონ განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ საგამოცდო სამსახურს საგამოცდო პროცესამდე მინიმუმ 1 კვირით ადრე.
2. საგამოცდო სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ადაპტირებული საგამოცდო ოთახი, დამხმარე შესაბამისი პერსონალით ან რესურსებით სტუდენტების საჭიროებებიდან გამომდინარე.
3. სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებს შეიძლება გამოეყოს დამატებითი დრო გამოცდის დასრულებისთვის ან შესვენების საშუალება მიეცეთ. დამატებითი დროის ხანგრძლივობა იქნება დადგენილი საჭიროების მიხედვით.

მუხლი 13. საგამოცდო საკითხების წარმოდგენა

1. სამსახური ვალდებულია ორგანიზება გაუწიოს ლექტორების მიერ საგამოცდო საკითხების წარმოდგენის პროცესს, ჩაიბაროს ისინი, არ გაამჟღავნოს მათი შინაარსი და უზრუნველყოს მათი გამრავლება გამოცდებისთვის.
2. საგნის ლექტორი ვალდებულია საგამოცდო საკითხები საგამოცდო სამსახურში წარმოადგინოს საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე ერთი კვირის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს სამი დღისა.
3. წარმოდგენილი საკითხები სრულად უნდა მოიცავდეს და შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრულ თემატიკას.
4. საგამოცდო საკითხების ოდენობას, ფორმას, შინაარსსა და შეფასების კრიტერიუმებს განსაზღვრავს ლექტორი სილაბუსის შესაბამისად.
5. საგამოცდო საკითხებს თან უნდა ახლდეს ლექტორის მიერ შევსებული ფორმულარი.
6. საგამოცდო საკითხებს, შინაარსის გათვალისწინებით, (საგამოცდო ქეისები, ამოცანები, ღია კითხვები, ან სხვა მსგავსი ტიპის დავალებები), თან უნდა ერთვოდეს შესრულების ინსტრუქცია, საჭიროების შემთხვევაში.

მუხლი 14. საგამოცდო ნაშრომის გასწორება

1. სამსახური ვალდებულია გამოცდის (შუალედური, დასკვნითი) ჩატარებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს ლექტორებისათვის საგამოცდო ნაშრომების გადაცემა და გასწორების შემდეგ ჩაიბაროს ისინი.
2. ლექტორი ვალდებულია გაასწოროს ნაშრომები მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში და წარადგინოს სამსახურში.
3. სამსახური ვალდებულია გასწორებული ნაშრომების მიღებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს გამოცდების შედეგების სტუდენტებისათვის გაცნობა.

მუხლი15. საგამოცდო ნაშრომის გაცნობა და გასაჩივრება

1. სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის გამოქვეყნებიდან 2 დღის ვადაში მიმართოს უნივერსიტეტს განცხადებით და მოითხოვოს გასწორებული საგამოცდო ნაშრომის (შუალედური, დასკვნითი, დამატებითი საგამოცდო ნაშრომი) გაცნობა და შედეგების გადასინჯვა.

2. სამსახური ვალდებულია უზრუნველყოს განცხადების/საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში სტუდენტისთვის თავისი ნაშრომის გაცნობა.
3. სამსახური ვალდებულია იმ სტუდენტების ნაშრომების ქსეროასლები, რომლებიც არ ეთანხმებიან გამოცდაზე მიღებულ შეფასებას და მოითხოვენ შედეგების გადასინჯვას, სტუდენტისთვის ნაშრომის გაცნობიდან ერთი სამუშაო დღის, ან გასაჩივრების ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში განსახილველად გადასცეს სააპელაციო კომისიას, რომელიც თავის მხრივ 2 სამუშაო დღის ვადაში ვალდებულია მიაწოდოს სამსახურს აპელაციის დასკვნა.
4. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული პროცედურის დასრულების შემდეგ ნაშრომის ასლი, აპელაციის დასკვნასთან ერთად, უბრუნდება სამსახურს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს მის მიწოდებას დეკანის ოფისისთვის სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში შედეგების ასახვის მიზნით.
5. ამ თავის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სააპელაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი უნივერსიტეტის მოწვეული ან აკადემიური პერსონალიდან, პროგრამის ხელმძღვანელი, სკოლის დეკანი, იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი. სააპელაციო კომისიის შემადგენლობა სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე, მტკიცდება პრეზიდენტის ბრძანებით, შესაბამისი საჭიროების დადგომის შემთხვევაში.

მუხლი 16. სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში შეფასებების აღრიცხვა

1. სკოლის უფლებამოსილი თანამშრომელი უზრუნველყოფს შესაბამის სკოლაში განხორციელებული სტუდენტის შეფასებების ასახვას სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში ან/და უზრუნველყოფს ლექტორის მიერ აღნიშნული შეფასებების ასახვის კონტროლს. სკოლა ვალდებულია, სემესტრული შეფასებების (გარდა შუალედური გამოცდის შედეგებისა) ასახვა უზრუნველყოს აღნიშნული პროცედურისათვის პრეზიდენტის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში.
2. შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების შეფასების ასახვას უზრუნველყოფს სამსახურის ელექტრონული მართვის სისტემაში შედეგების ასახვაზე პასუხისმგებელ პირი/პირები.
3. თუ სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში შეფასებების აღრიცხვის დროს დაშვებულია შეცდომა, ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი ვალდებულია ახსნაგანმარტებითი ბარათით მიმართოს სკოლის დეკანს, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. სკოლა ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია უნივერსიტეტის საგამოცდო სამსახურს.
4. დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის შეფასებების გამოქვეყნება მანამ, სანამ სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში არ იქნება დაფიქსირებული საგნის შუალედური შეფასებები, ხოლო კომბინირებული გამოცდის შემთხვევაში გამოცდის ზეპირი კომპონენტის შეფასება.

მუხლი 17. სტუდენტის ვალდებულებები საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას

1. სტუდენტი ვალდებულია:

   ა) ცხრილში მითითებული განრიგის მიხედვით, გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე. დაგვიანების შემთხვევაში სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება.

   ბ) გამოცდაზე ვერ/არ გამოცხადების შემთხვევაში, მეილის საშუალებით წარმოადგინოს გაცდენის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი და განცხადება, რომელიც უნდა დარეგისტრირდეს საქმისწარმოების სისტემაში წარმოდგენილ განცხადებას და გაცდენის საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს განიხილავს საგამოცდო სამსახურის ხელმძღვანელი

დეკანის ოფისთან ერთად და იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის მიერ გამოცდის აღდგენის შესაძლებლობის შესახებ.

გ) გაიაროს რეგისტრაცია და დაიკავოს ადგილი დარბაზში რეგისტრაციის ნომრის მიხედვით.

დ) შეამოწმოს მისი საგამოცდო ფურცლის ხარვეზიანობა, დაზიანების არსებობის შემთხვევაში უნდა მიმართოს დამკვირვებელს. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ ასეთი პრეტენზია აღარ მიიღება.

2. საგამოცდო ნაწერი უნდა შესრულდეს დამკვირვებლის მიერ დარიგებულ საგამოცდო ფურცლებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება.
3. საგამოცდო ფურცელზე განკუთვნილ ადგილას სტუდენტმა უნდა დაწეროს სახელი, გვარი, სკოლა, საგნის დასახელება და ლექტორის სახელი და გვარი, სხვა შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება.
4. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდგომ საგამოცდო სივრცის დატოვების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია, დამკვირველებს ჩააბაროს საგამოცდო ფურცელი, რის შემდეგაც მისი საგამოცდო სივრცეში დაბრუნება დაუშვებელია, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული გარემოებებისა. სტუდენტი შეფასდება მის მიერ ჩაბარებული ნაშრომის საფუძველზე.
5. პროცედურული და ტექნიკური ხასიათის შეკითხვების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა მიმართოს დამკვირვებელს.
6. აკრძალულია გამოცდის პროცესის დროს საუბარი. ერთმანეთთან გადალაპარაკების შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან.
7. გამოცდიდან მოხსნის საფუძველი შეიძლება გახდეს დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა.
8. საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ დამკვირვებლის გაფრთხილებისთანავე სტუდენტმა უნდა შეწყვიტოს მუშაობა და ჩააბაროს ნაშრომი, სხვა შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება.
9. სამუშოს დასრულების შემდეგ საგამოცდო ბილეთი და ფურცლები სტუდენტმა უნდა გადასცეს დამკვირვებელს და მოაწეროს ხელი საგამოცდო ნაშრომის მიღება-ჩაბარების ჟურნალში.
10. წინამდებარე წესით განსაზღვრული ნორმების დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტის მიმართ შესაძლოა დაიწყოს დისციპლინური წარმოება.

მუხლი 18. აკრძალული ნივთები და ქმედებები

1. აკრძალულია გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის, ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოს შეტანა, გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა. ზედმეტი ნივთები სტუდენტმა უნდა ჩააბაროს დამკვირვებელს. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი არსებობს რაიმე სპეციალური მითითება ლექტორის მიერ მიწოდებულ საგამოცდო ინსტრუქციაში.
2. წერის დაწყებამდე სამუშაო მაგიდაზე რაიმე სხვა ფურცლის აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, გამოცდის დაწყების შემდეგ ნებისმიერი სხვა დარღვევის შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან.

მუხლი 19. გამოცდიდან მოხსნისა და ნაშრომის გასწორებაზე უარის თქმის საფუძვლები

1. სტუდენტი გაფრთხილების გარეშე მოიხსნება გამოცდიდან:

   ა) წესრიგის დარღვევის ან საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის, დამკვირვებლის შეურაცხყოფის შემთხვევაში;

   ბ) ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევაში;

   გ) სხვა პირის ნაცვლად გამოცდის ჩაბარების მცდელობის შემთხვევაში.

2. ნაშრომი არ გასწორდება თუ:

ა) სტუდენტი საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას და არ ჩააბარებს ნაშრომს;

ბ) ნაშრომში დაწერს სახელს, გვარს ან პიროვნების იდენტიფიცირების შემცველ რაიმე ინფორმაციას, გააკეთებს ისეთ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალებასთან.

მუხლი 20. ელექტრონული სწავლების ფორმატში გამოცდების ადმინისტრირება

1. უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ფორმატში სტუდენტთა შეფასება განხორციელდება შემდეგი სახით:

ა) უცვლელი რჩება ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული შუალედური და დასკვნითი შეფასებების რუბრიკები და მათი ხვედრითი წილი მთლიანი შეფასების სისტემაში;

ბ) სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემული მიმდინარე შეფასებები გარკვეულ რუბრიკებში შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ზეპირი, ასევე წერითი შეფასების ფორმატში სილაბუსში განსაზღვრული ინტენსივობით. მაგალითისთვის, ზეპირი ფორმატის შემთხვევაში შესაძლებელია შემდეგი რუბრიკების გამოყენება: სასწავლო მასალის ზეპირი პრეზენტაცია, ზეპირი გამოკითხვა, პრაქტიკული მაგალითის/ქეისის განხილვა/ანალიზი, ესსე-ს ზეპირი განხილვა და სხვა.

2. სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს გამოცდის შეუფერხებლად და კომფორტულად მიმდინარეობისათვის აუცილებელი პირობები;

ბ) გამოცდაზე გამოიყენოს მხოლოდ ლექტორის მიერ მითითებული ნებადართული მასალა;

გ) საჭიროების შემთხვევაში, პირადი შეტყობინებით მიმართოს დამკვირვებელს შეკითხვით, ისე რომ ხელი არ შეუშალოს სხვა სტუდენტებს;

3. სტუდენტი ვალდებულია:

ა) გამოცდის დაწყებამდე ონლაინ პლატფორმაზე შევიდეს 10 წუთით ადრე და აცნობოს დამკვირვებელს ონლაინ პლატფორმაზე შესვლის შესახებ, რათა დამკვირვებელმა აღრიცხოს სტუდენტის დასწრება;

ბ) გააზიაროს კომპიუტერის ეკრანი და დამკვირვებლის მოთხოვნის საფუძველზე დაათვალიერებინოს მას ოთახი, სადაც იმყოფება;

გ) ჩართული ჰქონდეს მიკროფონი/ვიდეო კამერა;

დ) გამოცდაზე წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი, ფოტოსურათიანი დოკუმენტი (ID ბარათი, მართვის მოწმობა, სარეგისტრაციო ბარათი, პასპორტი, სხვ.);

ე) გამოცდის მიმდინარეობისას დაიცვას ეთიკისა და ამ წესით გათვალისწინებული ნორმები;

ვ) დაემორჩილოს დამკვირვებლის მითითებებსა და გადაწყვეტილებას, თუნდაც მისი გამოცდიდან მოხსნის შესახებ;

ზ) თუ საგამოცდო დროის ამოწურვამდე დაასრულებს ნაშრომს ინდივიდულური შეტყობინებით პლატფორმიდან აცნობოს დამკვირვებელს;

თ) თუ ინტერნეტთან კავშირის შეწყვეტის გამო გავიდა ონლაინ სივრციდან, დაბრუნდეს 10 წუთის მანძილზე და გააგრძელოს საგამოცდო ნაშრომზე მუშაობა,მოცემული დროის ამოწურვის შემდეგ სტუდენტის ნაშრომი განულდება;

ი) სტუდენტს ეკრძალება ონლაინ გამოცდიდან გასვლა ნებისმიერი მიზეზით (გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული და წინა ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა), მის დასრულებამდე;

კ) ჯანმრთელობის გაუარესებით გამოწვეული შედეგის დადგომისას, ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება დეკანთან ერთად და აღდგენით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების საკითხი, თანხმდება საგამოცდო სამსახურთან, ყველა სხვა მიზეზით გამოცდის დატოვების შემთხვევა, არ განიხილება აღდგენით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად.

4. დამკვირვებელი ვალდებულია:

ა) გამოცდის დაწყებამდე 15 წუთით ადრე შევიდეს ონლაინ პლატფორმის შესაბამის ლინკზე, რომელსაც გადასცემს საგამოცდო ცენტრის უფლებამოსილი წარმომადგენელი;

ბ) გამოცდის დაწყებამდე სტუდენტებს გააცნოს წესები, რომლებიც მათ უნდა დაიცვან გამოცდის მიმდინარეობის პროცესში;

გ) წინასწარ იქონიოს საგამოცდო უწყისი, რომელსაც გადასცემს საგამოცდო ცენტრის უფლებამოსილი წარმომადგენელი;

დ) ჩაინიშნოს იმ სტუდენტთა სახელები და გვარები, რომლებიც წერენ გამოცდას;

ე) თვალყური ადევნოს გამოცდის მიმდინარეობას და წინამდებარე წესით განსაზღვრული დარღვევის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები;

ვ) მისცეს ერთჯერადად შენიშვნა, ხოლო განმეორებითი შენიშვნის შემთხევავში მოხსნას სტუდენტი გამოცდიდან;

ზ) გამოცდიდან სტუდენტის მოხსნის შემთხვევაში, შეადგინოს ოქმი შესაბამისი მიზეზის დაკონკრეტებით;

თ) უპასუხოს სტუდენტს მხოლოდ პროცედურულ და ტექნიკურ საკითხებზე. საგამოცდო საგანთან დაკავშირებულ ნებისმიერ კითხვაზე პასუხი აკრძალულია;

ი) საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე მოახდინოს სტუდენტების ინფორმირება დარჩენილი საგამოცდო დროის შესახებ;

კ) სტუდენტების წინასწარი ინფორმირების შემდეგ მოახდინოს საგამოცდო პროცესის ჩაწერა წინასწარ განსაზღვრული პლატფორმის საშუალებით და ჩანაწერის ლინკი გაუგზავნოს საგამოცდო ცენტრს გამოცდის დასრულებისთანავე.

ლ)ტექნიკური ხარვეზის დროს დაუყოვნებლივ აცნობის შესაბამის სამსახურს.

მუხლი 21. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE)

1. სამსახური უზრუნველყოფს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების ორგანიზებას მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის, კვალიფიციური კურსდამთავრებულების მომზადების ხელშეწყობის მიზნით.
2. სამსახური უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების კლინიკური შემადგენელის რეალიზაციას სიმულაციურ გარემოში, ასევე ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) მეთოდოლოგიის დანერგვასა და სტუდენტების კლინიკური უნარების ობიექტურ შეფასებას სხვადასხვა სიმულაციურ კლინიკურ გარემოში.
3. საგამოცდო სამსახური უზრუნველყოფს:

ა) საგამოცდო გარემოს ზედამხედველობას, ინვენტარიზაციასა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საჭიროებების განსაზღვრას;

ბ) სიმულაციური გამოცდის ორგანიზებას შესაბამისი სასწავლო კურსების წარმატებით შეფასებისთვის;

გ) ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის შემფასებლების ტრენინგის დაგეგმვაში მონაწილეობას;

დ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ინსტრუმენტების და ა.შ. საჭიროებების განსაზღვრა და სადგურების უზრუნველყოფა-მომზადების ორგანიზება.
ე) ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის შეფასების, რუბრიკების, კითხვების, სტუდენტების, გამომცდელების, სიმულაციური პაციენტების ინსტრუქციების, სცენარების და ა.შ. შემუშავებაში მონაწილეობას.
ვ) გამოცდაში მონაწილე მხარეებისგან უკუკავშირის მიღება, გამოცდების შედეგების ანალიზი და შეფასება. შედეგების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარდგენა.

მუხლი 22. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესი მტკიცდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.
2. წინამდებარე წესის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.

"დამტკიცებულია"

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტი

გიორგი ხუროძე